საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030135932379119

№ 01-279/ო **13 / სექტემბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი, მე-4, მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში განისაზღვროს:

ა) ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) იურიდიული დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

2. მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) წამლის სააგენტო - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მიმართულების კოორდინაცია, აგრეთვე შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტების განხორციელების კოორდინაცია;

დ) ელექტრონული ჯანდაცვის საკითხების კოორდინაცია;

ზ) პირველადი ჯანდაცვის საკითხების კოორდინაცია.

3. მინისტრის მოადგილის ზაზა ბოხუას დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ბ) სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

დ) სამედიცინო (მათ შორის დიპლომისშემდგომი) განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საკითხების კოორდინაცია.

4. მინისტრის მოადგილის თამილა ბარკალაიას დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) სოციალური დაცვის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ვ) ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების კოორდინაცია;

ზ) საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია;

თ) სამინისტროს საპარლამენტო მდივნის ფუნქციის განხორციელება.

5. მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) ეკონომიკური დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) სოციალური მომსახურების სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“-ს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის კოორდინაცია და დამფუძნებლის უფლებამოსილების განხორციელება;

ვ) სამინისტროს მართვაში მყოფი შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს საქმიანობის კოორდინაცია და წილის მმართველისათვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

ზ) ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების კოორდინაცია;

თ) „საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

6. მინისტრის მოადგილის თეა ახვლედიანის კომპეტენციაში განისაზღვროს შრომითი მიგრაციის საკითხების კოორდინაცია.

7. მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე (თამარ გაბუნია);

ბ) მინისტრისა და მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

გ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

დ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (ზაზა ბოხუა);

ე) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თეა ახვლედიანი).

8. მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

ბ) მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

გ) მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (ზაზა ბოხუა);

დ) მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თეა ახვლედიანი).

9. მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

ბ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (ზაზა ბოხუა);

გ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (თამარ გაბუნია);

დ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) და მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თეა ახვლედიანი).

10. მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

ბ) მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკლაია);

გ) მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (თამარ გაბუნია);

დ) მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თეა ახვლედიანი).

11. მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (ზაზა ბოხუა);

ბ) მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

გ) მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (თამარ გაბუნია);

დ) მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის პირველი მოადგილის (თამარ გაბუნია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თეა ახვლედიანი).

12. მინისტრის მოადგილის (თეა ახვლედიანი) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს

ბ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

გ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (ზაზა ბოხუა);

დ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში – მინისტრის პირველი მოადგილე (თამარ გაბუნია).

13. მინისტრის პირველი მოადგილე და მინისტრის მოადგილეები ხელს აწერს ამ ბრძანების თანახმად, მათზე განაწილებული საზედამხედველო სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მომზადებულ კორესპონდენციას და ავიზებს მას.

14. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 26 ივნისის N01-209/ო ბრძანება.

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე